№ 48 მარტი 4, პარასკევი 1888 მარტი 4, პარასკევი № 48


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა 8-ს მარტს

ორშაბათს, 7-ს მარტს,

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში

საფრანგეთის საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ ღარიბთა სასარგებლოდ გამართული იქნება:

## ბ ა ლ ი

კოსტიუმებითა და სიურპრიზებითა.

ბილეთები ისყიდება «კრუჟოკში» და იმ მაღაზიებში, სადაც ფრანგები ვაჭრობენ.

ფასი ბილეთისა 3 მანეთია.

სამხედრო კაცნი უნდა იყვნენ დაწესებულს ფორმაში, შტატსკები-კი ფრაკებში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 4 მარტს, დილით ქართულის არტისტების მიერ ქ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქნ. ბ. ავალოვის ბენეფისში:

I

## ვ ა ლ ე რ ი

კომედია 3 მოქმედებად სკრიბისა, ფრანგულიდგან გადმოთარგმნილი გ. ქურულის მიერ.

II

დატრიალდა ქვარა

ვოდევილი ერთს მოქმედებად, თარგ. რუსულიდგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალოვისა, საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა და ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მაქაიშიძე და სხვანი.

დასაწყისი $12^1/_2$ საათზე.

---

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აცნობებს ხსენებულ მაზრის თავად-აზნაურობას, რომ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება იქმნება ოც-და-შვიდს მარტსა, დილის ათს საათზედ, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა კრების სადგომში, პუშკინის ქუჩაზედ, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, ექიმ კუკუჯანოვის სახლებში, და სთხოვს, წარმოადგინონ საბუთნი, რომ კენჭის უფლება აქვს, ტფილისის დეპუტატთა კრების კანცელარიაში, იმ დრომდე, ვიდრე მაზრისთავად-აზნაურთა კრება შესდგებოდეს. (3—1)

---

ტფილისი, 3 მარტი

მკითხველი, იმედია, ყურადღებას მიაქცევს სამეურნეო საზოგადოების სხდომას, რომელიც აღწერილია დღევანდელს ნომერში და რომელმაც განიხილა, თუ რა გვარი სამეურნეო სკოლა ეჭირება ქუთაისის გუბერნიას, რადგანაც თვითოეულს ამბავს, რომელიც შეეხება სამეურნეო სწავლა-განათლებას, ჩვენში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურსა.

ამის მიზეზი ის არის, რომ დღეს, როგორც სჩანს, ქართველთა შორის ძალიან მომწიფებულია ის აზრი, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა აუცილებლად საჭიროა; რომ უიმისოდ შეუძლებელია ჩვენის ეკონომიურის ვითარების შესწორება და გაუმჯობესობა. მართლადაც, ამ აზრისანი არიან ორისავე გუბერნიის თავად-აზნაურნი, მთავრობა და მწერლობა და რაკი აზრი იმდენად მომწიფებულა, რომ იმაზე ლაპარაკი ყოველგნით ისმის, ამიტომაც, იმედია, აზრს განხორციელება და შესრულებაც მოჰყვება. როგორც მკითხველმა იცის, ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს განუზრახავს დაარსოს ქუთაისში სამეურნეო სკოლა. ქუთაისის თავად-აზნაურობის კომისიას, რომელიც დანიშნულია სწავლა-განათლების საქმის გამომოსარკვევად, მოუხსენებია ოლქის სამოსწავლო მზრუნველისათვის, რომ ჩვენთვის საჭიროა სამეურნეო სასწავლებელიო; აგრეთვე ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობას ლაპარაკი ექმნება ამავ საგნის თაობაზე მაისში, მომავალს სათავად-აზნაურო კრებაზე. ტფილისის თავად-აზნაურობასაც სჯა და თათბირი აქვს სამეურნეო სკოლის შესახებ.

მართალია, ლაპარაკს ზოგჯერ საქმე არ მოჰყვება ხოლმე, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება ამ შემთხვევაში, რადგანაც ყველანი ჰგრძნობენ, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნაზეა დამოკიდებული იმათი მერმისი, რომ ჩვენ გვეჭირება საქმიანი ხალხი, რომელსაც შეძლება ექმნება გაუძღვეს მამულ-დედულს, თავის თავს და მეტ ბარგად არ დააწვეს საზოგადოებასა და ქვეყანას.

რა თქმა უნდა, სამეურნეო სწავლა-ცოდნა ჩვენთვის მეტი არც წინად ყოფილა, მაგრამ თუ დღეს იმაზე დიდი ლაპარაკი და თათბირი გვაქვს, ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ოჯახი, მამული, ერთის სიტყვით, ჩვენი ეკონომიური ვითარება ძალიან დაიქსაქსა და დაეცა. მართალი ნათქვამია: გზა მაშინ გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდებაო. დიაღ, გამოჩნდა გზა და იმედია, რომ ამ გზას დავადგებით, რადგანაც თვალ-ხილული ადამიანი, რაკი ერთხელ გზას გამონახავს, უგზო-უკვლოდ სიარულს თავს დაანებებს. სწორედ მომეტებულად საჭიროა, რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანად ჩავუკვირდეთ სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას ჩვენში, რათა საქმე ჯეროვანად დავაყენოთ, ერთის სიტყვით, ისე, რომ იგი სწავლა-ცოდნა მართლა გამოსადეგარი იყოს. ამიტომაც საჭიროა მოვიხსენიოთ, თუ როგორ უყურებენ, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის ვითარებას და რა გზით უნდა დააკმაყოფილონ იმისი საჭიროება. არ ვიცით, რას ჰფიქრობს ამაზე ქუთაისის თავად-აზნაურობის კომისია და რა განაჩენს დასდებს მაისში თვით თავად-აზნაურობა; ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, თუ როგორ უყურებს ამ საქმეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. ამ საზოგადოების კომისიის აზრით, ქუთაისის გუბერნიისათვის საჭიროა პირველ-დაწყებითი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც უნდა ისწავლებოდეს ცოტათი ყველა განყოფილება მეურნეობისა, ისე რომ სკოლაში სწავლა-დამთავრებულს შეეძლოს გაუძღვეს პატარა მოსახლობას, ოჯახობას. ერთის სიტყვით, ყველა განყოფილება მეურნეობისა უნდა ისწავლებოდეს თანაბრად, შემოკლებულის პროგრამითა. ეს აზრი კომისიას იმისთვის დაუსკვნია, რომ ქუთაისის გუბერნიაში არსებობს ყველა განყოფილება მეურნეობისა, რომ არც ერთი იმათგანი ისე გავრცელებული არ არის, რომ ერთს რომელსამე მიეცეს უპირატესობა.

ჩვენის ფიქრით, კომისიის აზრი ზოგში შემცდარია. მართალია, ქუთაისის გუბერნიაში ღვინო მოჰყავთ, ბაღოსნობასაც მისდევენ,

---

# ფელეტონი

ფიცი მისცა

(მოთხრობა)

ტასო და ქეთო პატარაობითვე ერთად შეიზარდნენ. ამათი დედ-მამა კახეთის საუკეთესო თავადიშვილები იყვნენ და დგომითაც შორს არ იდგნენ ერთმანეთზე. ტასოს და ქეთოს მეგობრობის დასაწყისი თვით იმათის მშობლების მეგობრობა იყო. მართლაცა-და იმდენი რამ ჰქონდათ საერთო ამ ორს ოჯახს, რომ მათი დაახლოვება ძრიელ ადვილი იყო. სულ პაწია წვრილმანებიც-კი რომ ავიღოთ, იქაც-კი დავინახავთ, რომ ბევრი რამ აერთებდა ამ ორს ოჯახსა.

ჯერ იყო-და ტასოსა და ქეთოს მამები ყმაწვილობაშივე ერთად იზრდებოდნენ; მერე ცოლები შეირთეს და ერთსა და იმავე ხანში; შემდეგ კიდევ ღმერთმა თითო მარგალიტი ქალიც უწყალობა ორივე ოჯახს. ბოლოს ორივენი ერთად ევედრებოდნენ ზეციერს: თითო ვაჟი კიდევ გვიბოძე და მერე დაილოცოს შენი სამართალიო.

მაგრამ გადიოდა დრო და თითო ქალის მეტი აღარა მიეცათ-რა. ამასთანავე ქეთოს დედაც მალე გარდაიცვალა, ხოლო ტასოს დედამ ისეთი ავადმყოფობა დაიწყო, რომ შვილოსნობაზედ ფიქრი აღარც-კი შეიძლებოდა...

ასე, ერთ ნაირი ბედი და უბედობა აერთებდა-მეთქი ამ ორს ოჯახს და აქედგან წარმოსდგა ტასოსა და ქეთოს მეგობრობაცა.

ცხადია, ამათი მეგობრობა წინად, როცა ორივენი პატარები იყვნენ, ის იყო, რომ სათამაშოები საერთო ჰქონდათ: თუ ქეთო ატირდებოდა, ტასოც იმ წამსვე ბანს მისცემდა და თუ ტასო წამოჰყრიდა ცრემლებს, ქეთოც თავისას ზედ დაუმატებდა.

გაიარა დრომ და ორივემ ისეთს ხანს მიაღწიეს, როდესაც მნიშვნელობა მეგობრობისა უფრო მეტად იგრძნეს, როცა მზად იყვნენ ერთმანერთისათვის სიცოცხლეც-კი არ დაეზოგათ. გარემოებამაც არ დაიგვიანა და მალე მისცა შემთხვევა ერთმანერთის ერთგულობა დაემტკიცებინათ...

როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ქეთოს ყმაწვილობაშივე მოუკვდა დედა. ექიმების შემოწმებით, უბედური ქალი ჭლექმა გადიტანა. ეს გარემოება ძრიელ აწუხებდა ქეთოს კეთილის-მყოფებს და შიში ჰქონდათ, იმასაც არა დაემართოს-რაო, მეტადრე მაშინ უფრო მიეცათ შიში, როცა გაიხსენეს, რომ ქეთოს დედის ოჯახში ჭლექის გამო არა ერთი და ორი მომკვდარიყო. მართლაცა-და თვრამეტის წლისა რომ შეიქმნა ქეთო, ავადმყოფობა დაიწყო... ექიმებმა ურჩიეს ქეთოს მამას, საზაფხულოდ ჰავა გამოუცვალე შენს ქალს და მთიან ადგილას წაიყვანეო.

ქეთოს არ უყვარდა თავის საყვარელის სოფლის მოშორება. ათასში ერთხელ თუ წაჰყვებოდა მამას ტფილისში ნათესავების სანახავად, თორემ სოფელში მოსვენებით ცხოვრება და წიგნების კითხვა ურჩევნოდა ტფილისის ბალებსა. თუმცა სოფელში ტასოზე მეტი მეგობარი არა ჰყავდა, მაგრამ იმასთან მუდამ ყოფნა და ბაასი ერჩივნა მთელის ქვეყნის კავალრებს და ბურბუშელა ქალიშვილებს, რომელნიც როგორც სოფელში, ისე ქალაქშიაც გულითა და სულითა სძულდა...

ასე თუ ისე, ქეთოს არ უყვარდა თავის სოფლის დატოვება, მაგრამ ეხლა მეცხრამეტე წელიწადში გადამდგარს ქეთოს რომ უთხრეს, საზაფხულოდ ჰაერი უნდა გამოიცვალოო და წყლებზედ წახვიდეო, რაღაც ახალმა, საიდუმლო გრძნობამ გაუარა გულში და სიამოვნებით ათქმევინა:

— წავიდეთო.

ტასოს უკვირდა, რამ გამოსცვალა ასე ჩემი მეგობარიო, და ერთხელ უთხრა კიდეც:

— ქალო, შენ ისე გიხარიან წყლებზედ წასვლა, თითქოს იქ რაღაც სასიამოვნო მიგელის რამეო.

ქეთოს თითქო გაუოცდა, ტასომ ჩემი აზრი საიდგან გაიგოო, და თითქმის გადაწყვეტით მიუგო.

— სწორედ რაღაც მიმელის!

—

ქეთო წყლებზედ წაიყვანეს... რამდენისამე ხნის შემდეგ აი რასა სწერდა ქეთო თავის მეგობარსა:

დაუვიწყარო დაო ტასო!

აი სამი კვირაა, რაც შენ დაგშორდი; ეხლა ჩემს თავს სულ მარტოკად ვგრძნობ...

ჩამოვედით თუ არა, მეორე დღეს ექიმი ვნახეთ. ექიმმა გამსინჯა და რაღაც ნაირად შემომხედა, თუმცა მითხრა, დიდი წამლობა არა გინდათ-რაო. მგონი იმისი ენა სხვას ამბობდა და სახე-კი სხვასა...

ჩემი ექიმი კარგსა და ჭკვიანს კაცსა ჰგავს; ჯერ სულ ყმაწვილია და უნივერსიტეტიც შარშან-წინ გაუთავებია, ქართველია, ჩვენთან ყოველ დღე დადის... ხუმრობა აქვს ყოველდღე დადის... ხშირად აქა შეყავნდე და ჩემისთანა ბედნიერი აღარავინ იქმნება... შემდეგს წერილში უფრო მეტს მოგწერ, ეხლა ცოტა დაღალული ვარ და აი ექიმიც მოდის.

შენი ერთგული ქეთო გკოცნი.

ტასომ გადიკითხა წერილი და უნებურად ეს სიტყვები ჩარჩა გულში: ჩემი ექიმი კარგს და ჭკვიანს კაცსა ჰგავსო...

ტასომ იცოდა, რომ ქეთოს არ უყვარდა კაცების ესე ადვილად ქება, იმ ქეთოს, რომელსაც კაცები თითქმის სძულდა და თავ-ქარიანებს უწოდებდა...

ერთის თთვის შემდეგ სხვათა შორის ქეთო სწერდა ტასოს:

... მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი აზრი ექიმის შესახებ არ გამტყუნდა. ამისთანა კაცები ჩემს დღეში არ მინახავს. იმასთან მზადა ვარ ხოლმე მთელი დღე ვიჯდე და იმის ლაპარაკს ყური ვუგდო. თითო იმისი სიტყვა აზრია... ბევრი, ბევრი ახალი რამ ვიგრძენ და ვისწავლე ამ ერთს თთვეში...

რომ იცოდე, რა რიგად მინდა შენთან ლაპარაკი; მოასწრე, რომ ჩამოსვიდეთ...

ამ წერილში ტასომ შეატყო, რომ ქეთო ექიმზედ უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე თავის თავზე. ასე გასინჯეთ, თავის ავადმყოფობაზედაც არას იწერებოდა. ყველა ამ გარემოებამ ძრიელ დააფიქრა ტასო. რაღაც დაფარული შიში აწუხებდა... კარგად ჰგრძნობდა, რა საჭირო იყო ტასო ამ ნაირ მდგომარეობაში თავის მეგობრისათვის; თან წასვლაც უნდოდა და თანაც ქეთოსი ერიდებოდა. ვაითუ გულით არ უნდა, რომ წავიდეო, და ამიტომ უფრო ცხადად დაპატიჟებას ელოდდა. ამ ნაირმა დაპატიჟებამაც არ დაიგვიანა და მალე ტასო თავის დედით იმ წყლებზედ წავიდა, სადაც ქეთო იმყოფებოდა.

—

საღამოს ჟამი იყო... მისუსტებული ქეთო სავარძელში იჯდა აივანზედ და სიყვარულით ელაპარაკებოდა ახლად ჩამოსულს მეგობარს. ტასო მწუხარებით უყურებდა თავის გამოცვლილს ქეთოს, რომელსაც თვალები ჩალურჯებოდა. ოდნავ დატეტკილი ლოყები აშინებდნენ მეგობრის გულს; ტასოს ეფიქრებოდა, ვაითუ აუტყდეს რამეო...

— ნეტა მალე მოვიდეს, რომ გაგაცნო,—უთხრა ბოლოს ქეთომ ტასოსა.

აივნის ბოლოზედ ამ დროს ვიღაც კაცი გამოჩნდა; ქეთომ დაინახა თუ არა, სიამოვნებით მიუბრუნდა:

— ოჰ, სადა ხართ აქამდის, ექიმო; მოდით ჩქარა, ერთი ჩემი კარგი, კარგი მეგობარი გაგაცნოთ.

ტასომ დაინახა თუ არა ექიმი, ისე გაუშტერა თავისი ჭკვიანი თვალები, თითქო ერთის ნახვით უნდა შეიტყოს იმის გულის-პასუხიო. ექიმი ვერ გაუმაგრდა იმის ცქერას; მორცხვობით თითქმის თავი ჩაღუნა და წამოწითლდა...

ქეთომ იმ წამსვე შეატყო გაწითლება..

ბოლოს ტასო გადაეხვია თავის მეგობარს და ტკბილად დაჰკოცნა.

ქეთო მიხვდა, რომ ტასო რაღაც სასიამოვნო ამბავს ულოცავდა...

—

ქეთო დღითი-დღე უკან და უკან მიდიოდა.

იმის ავადმყოფობა ისეთი იყო, რომ სრული სიმშვიდე ეპირებოდა:

სიმინდსაც სთესავენ და სხვ., მაგრამ ყველა განყოფილების ერთნაირად შემოკლებულად სწავლა საკმარისი არ იქნება. რასაკვირველია, უნდა ისწავლებოდეს ყველა განყოფილება მეურნეობისა, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, ერთს რომელსამე განყოფილებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, სახელდობრ იმას, რომელიც უფრო შემოსავლიანია. მაგალითად, როგორც უწყით, ქუთაისის გუბერნიაში ბევრი და კარგის ღირსების ღვინოები მოჰყავთ: რაჭაში, შორაპნის მაზრაში, ალაგ-ალაგ გურიაში; ესევე ითქმის სოხუმის ოლქის შესახებაც; აგრეთვე ბაღოსნობასაც ძალიან ბეჯითად მისდევენ და ალაგ-ალაგ ჰხარობს მაღალის კულტურის მცენარეობა.

აქედგან ის შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ მომავალს სკოლაში უპირატესობა უნდა მიეცეს ან მევენახეობას და ან ბაღოსნობას. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გამოირკვევა ერთისა თუ მეორის გავრცელება და საჭიროება. თან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მევენახეობა და ბაღოსნობა სხვაზე უფრო შემოსავლიანია.

ამიტომაც, ჩვენის აზრით, საჭიროა შეერთდეს კომისიის და ბ-ნ ხა[illegible]ოვის აზრი, ესე იგი უნდა დაარსდეს ისეთი სკოლა, რომელშიაც უნდა ისწავლებოდეს შემოკლებით ყველა განყოფილება მეურნეობისა და აგრეთვე უნდა იყოს განსაკუთრებული განყოფილება მევენახეობისა და ან ბაღოსნობისა. მართალია, ამ გვარი სკოლა გადასცილდება პირველ დაწყებითის სკოლის პროგრამას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისეთი სკოლა დაარსონ, რომელიც უფრო შეეფერება ადგილობრივს ვითარებას. იმ ნაირი სკოლა, რომელსაც ჩვენა ვხადით საჭიროდ, მეტს ხარჯსა და ცდას მოინდომებს, მაგრამ ნამდვილის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ამ ხარჯს არ უნდა შევუშინდეთ, მით უფრო, რომ ამ საჭიროებას ჰგრძნობს როგორც მთავრობა, ისე თვით საზოგადოებაც.

თუმცა საზოგადოების კრებამ დაამტკიცა კომისიის მოხსენება, მაგრამ სასურველია, რომ საქმე ამ მოხსენებაზე არ შესდგეს და ხელ-მეორედ და მრავალ მხრივ იქმნას განხილული და შესწავლული, რადგანაც ეგ საქმე საშვილიშვილოა და საძირკვლად უნდა დაედოს ჩვენის ეკონომიურის ვითარების გაუმჯობესობას. ამიტომაც თვით ქალაქმა ქუთაისმა და ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებამ მომეტებული ყურადღება უნდა ათხოვონ ამ საქმეს და შრომას და ხარჯს არ უნდა შეუშინდნენ, მით უფრო, რომ ამ შრომასა და ხარჯს დიდის სარგებლობით დაიბრუნებენ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბლაღოჩინი და დეკანოზი, მამა ნ. არდაზიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის მაღალ ყოვლად უუსამღვდელოესის, საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ბრძანებით ამ დამდეგს დიდ-მარხვაში კვირა-უქმე დღეებში წარმოთქმულ იქმნება ხოლმე მოძღვრება-ქადაგებანი, ანუ დარიგებანი სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებნი შემდეგს ეკკლესიებში: კუკიაში, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში და ვერაზე, ვერის იოანე-ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში რუსულად; სიონში, ქაშუეთსა, ავლაბრის წმ. მარიამისა და ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში ქართულად; იერუსალიმის ჯვარის მამის ეკკლესიაში ბერძნულად და წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში—თათრულად.

*** გუშინ-წინ, 2 მარტს, ჩვენს ქართულს დრამატიულს საზოგადოებას უკანასკნელი წარმოდგენა ჰქონდა, წრევანდელი სეზონი ამ წარმოდგენით გაათავა დრამატიულმა კომიტეტმა და დაითხოვა არტისტები. აღდგომის შემდეგ კომიტეტს განზრახვა აქვს, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, კვლავ დაიწყოს წარმოდგენების მართვა. დღევანდელი დილის წარმოდგენა ქართულს თეატრში კერძო წარმოდგენაა და ჰმართავს თავის საბენეფისოდ კნ. ბ. ავალიშვილისა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთი ჩვენი [illegible].

*** გუშინ-წინდელმა ქართულმა წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა, ისე კარგად, რომ იმის ნახევარსაც არ მოველოდდით. არ მოველოდდით იმიტომ რომ საუკეთესო და გამოცდილი არტისტები თითქმის არავინ არა თამაშობდა იმ საღამოს უმთავრესს პიესაში. მაგრამ მოლოდინი გამტყუნდა და ყველამ ფრიად კარგად და სასიამოვნოდ ითამაშა. ბ-ნი კ. ყიფიანი ხომ თამაშობდა და თამაშობდა. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო. თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი უბილეთობის გამო უკან დაბრუნდა.

*** გაზეთ „მეურნეს“-ს რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ მოგვდის წერილები წინანდელის სამეურნეო გაზეთის «ცისკრის» ხელის-მომწერთაგანა, რომ ფული შეტანილი გვაქვს რედაქციაში შარშანვე და რატომ არ მოგვდის თქვენი გაზეთი, ეგეც ხომ სამეურნეო გაზეთია და შეჩერებულის „ცისკრის“ მაგიერ გამოდისო. ჩვენ მოვალენი ვართ საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთს «მეურნე»-ს საერთო არა აქვს-რა შარშან შეჩერებულ გაზეთ «ცისკართან» და მეურნეს რედაქცია არავითარი მოვალე არ არის, თავისი გაზეთი უგზავნოს იმათ, ვისაც «ცისკარი» გამოუწერია შარშანაო.

*** ეს მეოთხე დღეა, რაც რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა, არც ჟურნალ-გაზეთები მიგვიღია და არც არავითარიმე წერილები.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გულითადს მადლობას უცხადებს ბ-ნ ს. მესტიაშვილს, რომელმაც «საზოგადოების» წიგნის მაღაზიას შესწირა ასი ცალი თავის მიერ შედგენილის საყმაწვილო საკითხავ წიგნისა: «ბუნების მოვლენანი».

*** სოხუმიდამ შემდეგი საოცარი ამბავი მოგვივიდა, თუმცა არ ვიცით-კი, რამდენად დასაჯერებელია: ამ დღეებში, —გვწერენ სოხუმიდამ, — ჩვენ შეგვატყობინეს დეპეშით, რომ სოხუმის მეორე გილდის ვაჭარს, საჩინო ქრისტეფორეს ძეს თურქიას, ჰამბურგის ბანკის ლატარიიდამ 200,688 მარკა რგებიაო. ამბობენ, რომ ბედნიერი ვაჭარი ამ თვეის დამლევს აპირობს წასვლას საზღვარგარეთ თავის მოგების ჩასაბარებლად ჰამბურგის ქალაქშიო.

*** აფხაზეთი: აფხაზეთში ამ ბოლოს დროს ქურდობა ძალიან გავრცელდა, იპარავენ ცხენსაც, ხარსაც, ძროხას, ცხვარსა და თხასა ბოსლიდგან მოხედებათ, თუ თავლიდგან, ხშირად ქვევრიდამაც-კი ეზიდებიან ღვინოს. მაგალითებრ, მარტო გუფუს საზოგადოებაში წარსულ წლის ნოემბრის თვეში ჩვიდმეტი კაცი გაჰქურდეს, თერთმეტი ცხენი დაიკარგა, სამი ხარი და ორიც ვაცი. ამავე საზოგადოებაში თებერვლის პირველს ნახევარს თვეში შვიდი კაცი გაჰქურდეს და დაიკარგა ორი ძროხა და ოთხი ხარი.

*** სოფ. ილორი (სენაკის მაზრა): აქაურს მღვდელს ლუკა გრიგოლიას დაეცნენ ავაზაკები და დასჭრეს ღრმად მოხუცებული მოძღვარი თავის მეუღლითურთ. ვისზედაც ეჭვი აიღეს, შეიპყრეს, მაგრამ ახლა ისევ გაანთავისუფლეს და არხეინად დასეირნობენო.

*** დღემდის ამტნის-ხევის სასოფლო სკოლაში ხევსურებიდამ მცირედი რიცხვი მოწაფეებისა დაიარებოდა და ვინც-კი დაიარებოდა, ისინიც გადმა ერწოს-ხეობის ქართველების ყმაწვილები იყვნენ. ეხლა-კი ხევსურებმა, მიჰხვდნენ თუ არა სკოლის მნი-

---

ამის მაგიერ-კი საქმე ისე მოეწყო, რომ ქეთო ყოველს წამს აღელვებაში იყო. ამ ნაირმა მდგომარეობამ ცუდად იმოქმედა ისედაც სუსტ აგებულებაზე და ჯერ ხველა გაუძლიერა, მერე რამდენჯერმე სისხლიც აღებინა; ამ უკანასკნელმა შემთხვევამ შეაშინა ყველანი; თითქმის იმედი დაჰკარგეს ქეთოს მორჩენისა... ამ საერთო შიშისა და სასოწარკვეთილების დროს მარტო ქეთო იყო ყოჩაღად, არა სჯეროდა თავისი სიკვდილი და რაღაც საიდუმლო ძალა იმედს აძლევდა...

ტასო, რასაკვირველია, მთელი დღე არა შორდებოდა თავის მეგობარს, იმათი დრო ბაასში და წიგნების კითხვაში გადიოდა. ექიმიც ხშირად მოვიდოდა ხოლმე და ცხარედ ბაასობდა მეგობარ ქალებთან. ასეთი ბაასი ისე ხშირადა ჰქონდათ ხოლმე, რომ ტასოც მალე მიეჩვია ექიმსა და უფრო თავისუფლად ელაპარაკებოდა ახალგაზდა კაცსა. ხან რამდენიმე საათი გაივლიდა ხოლმე, რომ ტასო ექიმს ეკამათებოდა რომელისამე საგნის გამო. მერე მაინც ბაასი ისე დაბოლოვდებოდა ხოლმე, რომ სიმართლე ექიმის მხარეს იყო, მაგრამ ეს გარემოება ტასოს არც აშინებდა და არც არცხვენდა.

ექიმსაც უყვარდა ტასოსთან ლაპარაკი, მოსწონდა იმისი მახვილი ენა და ცოცხალი გონება... ტასო ისე მიეჩვია ექიმთან ყოფნასა და ბაასს, რომ ღამე, როცა სახლში დაბრუნდებოდა ხოლმე, მოიგონებდა იმის ნათქვამს, ასწონ-დასწონდა იმის სიტყვებს, უფიქრდებოდა იმის ნალაპარაკევს. შემდეგ ფიქრი წაიღებდა და ექიმის ნაზი სახე თვალ-წინ დაუდგებოდა ხოლმე. ფიქრში გართულსა და გატაცებულს ტასოს ისე ცხოვლად უდგა თვალ-წინ ექიმი, რომ ეგონა, თითქო იმის დაღონებულს თვალებს შევსცქეროო. ტასო დიდხანს იყო ასე გარინდებული, თითქო ეშინოდა, არამ გააქროს ჩემ თვალ-წინ სასიამოვნო სანახავიო.

ტასოს აზრადაც არ მოსვლია ექიმის სიყვარული, მაგრამ იმის გულს-კი საიდუმლო შიში ეპარებოდა. ტასო დარწმუნებული იყო, რომ ქეთოს უყვარდა ექიმი და უფრო ამიტომ ერიდებოდა ექიმზედ ფიქრსა. ეს ფიქრი ტასოს თავის მეგობრის ღალატად მიაჩნდა. მერე რა მეგობრისა? ქეთოსი, რომელიც ეხლა ისე ავად არის და ისე კარგადაც ვიცი, რა მიზეზითაც არის ავად, თუმცა ქეთოს არა უთქვამს-რა ჩემთვისაო.

— არა, არაო, —ჰფიქრობდა ბუნდად და გულის-ტკენით ტასო: —ეხლა აღარ ვიფიქრებ ექიმზედ. ხვალვე ვათქმევინებ, გამოვტეხავ ქეთოს, რომ იმას უყვარს ექიმი და ამით გათავდება ყველაფერი: მე აღარ გავბედავ ექიმზე ფიქრს—ცოდვა იქმნება, ღალატისა შემეშინდება...

ტასომ გადასწყვიტა, ქეთოს გამოვკითხავ ყველაფერსაო.

—

მარიამობისთვე იწურებოდა. ერთს დღეს ტასო თავის სახლში დარჩა. ქეთომ სთხოვა, საღამომდის ნუ მოხვალო; ექიმი იმ დღეს ქეთოსთან იყო. ტასოს საშინლად უცემდა გული და სუნთქვას უშლიდა; ტასომ იცოდა, რომ დღეს გადასწყდებოდა ქეთოს ბედი...

— ვინ იცისო, —გაიელო გულში ტასომ, იქნება დღეს გადასწყდეს ჩემი ბედიცა. მაგრამ რადა, მე რა შუაში ვარ? [illegible] ბედი უნდა გადასწყდეს დღეს და არა ჩემი... ოჰ, მე ძალიან გამეხარდება, რომ ექიმმა ქეთო შეირთოს... მე აღარც-კი გავთხოვდები... ან როგორ-და გავთხოვდები? ექიმისთანა კაცი სად-ღა არის?.. არა, კი არ გავთხოვდები, მაშინ მონასტერში შევალ!.. ჩემს ყმაწვილ-ქალობას ღმერთს შევსწირავ, იმას ვემსახურები... ექიმიც ხომ მოვა ხოლმე იქ თავის ცოლით... ექიმს იქაცა ვნახავ... არა, ექიმს-კი არა, ქეთოს, ექიმი რად მინდა, ან კაცს რა უნდა მონასტერში... ექიმი ხომ არ არის ჩემი მეგობარი, ქეთოა, ქეთო მეგობარი... ექიმს თვალითაც აღარ დავინახავ... ან ეხლა რად მიდგა მუდამ თვალ-წინ?.. რად არა შორდება ჩემს გონებას? იმისი სახე რად მელანდება ცხადლივ თუ სიზმრად?.. ოჰ! ღმერთო, რა საშინელი ვარ! ქეთოს ვღალატობ. იმას ექიმი უყვარს და მე-კი, მე, საძაგელი რას ჩავედივარ!!.

ტასოს ყელში მოებჯინა გული, ეგონებ ტირილი უნდოდა, მაგრამ ცრემლი არ გადმოუვარდა, გაექანა თავის ოთახში და საწოლზე პირ-ქვე დაემხო...

დიდხანს არ გაუვლია, რომ გოგომ მოახსენა ტასოს, —ქეთოს ბარათი გახლავთო და ექიმიც გელით, თქვენი ნახვა ჰსურსო.

ტასო საჩქაროდ გავარდა სასტუმრო ოთახში. ექიმმა შენიშნა, რომ სახე მეტად გამოსცვლიყო და უნებურად ჰკითხა:

— ავად ხომ არა ბძანდებით?

— რა არის, რომ ექიმებს ავადმყოფობის მეტი არა გახსოვთ-რა,— მოუთმენლად მიუგო ტასომ. —თქვენ ქეთოზე მითხარით რამე... მე ყველაფერი ვიცი...

ექიმმა ხმა ვერ ამოიღო, თითქო რაღასაც ელისო...

— ჩქარა მითხარით? —კვლავ მოუთმენლად ჰკითხა ტასომ. —სიტყვა მიეცით?..

— მივეცი... ბავშვსავით წამოიძახა ექიმმა.

ტასოს პირველად თითქო თავ-ზარი დასცა ამ სიტყვამ. ეს სიტყვა აბედნიერებდა ქეთოს, მაგრამ ტასოს-კი აუბედურებდა. ასეთი ტკივილი გულისა ტასოს არას დროს არ უგრძვნია, მაგრამ თან თითქო სიამოვნების სხივი ჩაეფინა გულში და დასწვა თავის სითბოთი იმისი ნორჩი არსება. ორი გრძნობა, ერთმანერთზე ძლიერი, ერთმანერთზე ღრმა, ერთმანერთს შეეჭიდა, მზე და ჩრდილი ერთმანერთს შეეკამა, სითბო და სიცივე ერთმანერთს ექიშპებოდა. ტასომ იგრძნო, რომ მზემ სძლია ჩრდილს, ღრუბელი გადაიყარა და სითბომ და სინათლემ დაიჭირა იმისი ადგილი. ყმაწვილი ქალი, რომელიც ერთს წუთს თითქო დაიბნა და გაშტერდა, მალე ისევ გონს მოვიდა და ალალ-მართლობით გაუღიმა ექიმს.

— მივეცი სიტყვა, — განაგრძო ექიმმა, მაგრამ თქვენ, როგორც იმის მეგობარს, გეუბნებით, რომ ჩვენი ერთმანერთის შერთვა შეუძლებელია.

— როგორ, თქვენ მოატყუილეთ ქეთო? თქვენ იმისი ტანჯვა გასიამოვნებთ? —სასტიკად შეჰყვირა ტასომ.

— პირ-იქით, —მიუგო ექიმმა —მე ვგრძნობ, რომ ძვირფასად ჰღირს ქეთოსათვის სიმშვიდე და კიდეც იმიტომა ვსთქვი «ჰო» იქა, სადაც «არა» უნდა მეთქვა. თქვენი მეგობარი იმდენად ავად არის, რომ ქმრის შერთვა იმისთვის სიკვდილია. ჭლექიანს და მეტადრე მაგრე მორეულს სრული სიმშვიდე უნდა... მე, როგორც ექიმი, ჩემს მოვალეობას ვუღალატებდი, რომ თქვენი მეგობარი, თქვენი საყვარელი დობილი შემერთო. ეხლა თქვენ უნდა მომეშველოთ და ისე გაართოთ ქეთო, რომ იქმნება გადაავიწყდეს ის უბედური გრძნობა, რომელიც ჩემ გამო დაებადა...

ტასომ დაფიქრებით შეჰხედა ექიმს.

— ვშიშობ, ტასო, რომ თქვენ სხვაფრივ არ მიიღოთ ჩემი ლაპარაკი და საძაგელ კაცად არ ჩამთვალოთ... სთქვა ექიმმა, თავი ჩაღუნა და აჩქარებით დაიწყო სუნთქვა.

— გმადლობთ, როგორც ქეთოს მეგობარი, გმადლობთ! —მიუგო ტასომ და მომწონს კიდეც თქვენი საქციელი. მხოლოდ ერთს რასმეს გთხოვთ: გეხვეწებით, აჩქარებით ნუ შეირთავთ ჯერ ცოლსა. ჯერ ხომ მაინც ყმაწვილი ხართ და, თუ ქეთო ეგრე ავად არის, სიცოცხლეს ნულარ გაუმწარებთ... დაიცადეთ, დამშვიდებით მაინც მოკვდეს. ამ სიტყვებზე ტასომ ხელები მიიფარა სახეზე და ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან...

ექიმი რომ წავიდა, ტასო ღრმა ფიქრებმა წაიღო... ახალგაზდა ქალს თითქო რაღაც იმედი მიეცა... იფიქრა, ექიმი თავისუფალიაო... იქნება განგებ მოახერხა? მაშ ნუ თუ ქეთოს მორჩენის იმედი აღარ არის? არა, არა, ქეთო მორჩება, კარგად იქნება. ტასოს თვალ-წინ წარმოუდგა მისუსტებული, ღონე-მიხდილი ქეთო... იმისი ყრუ, გამუდმებული ხველა ყურში ჩაესმოდა.

— ოჰ, ღმერთო! რა მოუვიდა საწყალს ქეთოს? —დაღონებული ამოიოხრა ტასომ და გულმა კანკალი დაუწყო. —არა, იმედი აღარ არის, აღარა. ქეთოს სიცოცხლის პირი აღარა აქვს.

შენელობას, უცბად 4-ს თებერვლიდგან მორეკეს თავიანთი ბავშვები სასწავლებელში, ასე რომ ტევა აღარ იყო და მასწავლებელი იძულებული გახდა, ბევრისათვის უარი ეთქვა.

*** თებერვლის პირველ რიცხვებში სოფელს ნადოკრალში (ერწოს ხეობაშივეა) მცხოვრებ გლეხის-ხევსურის, ხუა (იგივე იოსებ) არაბულის, ცოლს დაებადა ქალიშვილი, რომელსაც არც ცხვირი ჰქონდა და არც პირი. ამ უცნაურმა ყმაწვილმა სამს დღემდე უძუძუოდ იცოცხლა და შემდეგ-კი გარდაიცვალა.

*** ღ. სურამი: წარსულის თთვის უკანასკნელს რიცხვებში აქ სამი დუქანი გასტეხეს ქურდებმა: ორი საყასბო და ერთიც სხვა-და-სხვა ფარჩეულობის მაღაზია. მაღაზიიდგან, რომელიც ეკუთვნის დავით ტერ-ზახაროვსა, გაუტანიათ 400 მან. ფარჩეულობა და ჩითეულობა; საყასბოს დუქნებიდგან წაუღიათ: ერთიდგან ფუთ ნახევარი ხორცი, მეორედგან-კი, როგორც ამბობენ, 15 მანათი ფული. პოლიცია გაფაციცებით ეძებს ქურდებსა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ უპოვნიათ. ჩვენის ფიქრით, სურამში რომ ღამ-ღამეობით ფარნები ენთოს ხოლმე, მაშინ ამდენი ქურდობა აღარ მოხდებოდა.

## ფშაური ლექსები

(გაგონილი სოფ. არტანში პაპა ფავთარაშვილისაგან და ჩაწერილი დ. ხიზანაშვილის მიერ, 18 იანვარს 1888 წ.)

ხანდახან ღვინოს სმა უნდა,
ხანდახან შამღერნებაო;
ხანდახან ომი ძლიერი,
ხანდახან მოსვენებაო.

**

შავს ღუდსა, წითელს ღვინოსა, —
განა სუყველას სმა უნდა!
პირში მოსულსა სიტყვასა,
განა სუყველას თქმა უნდა!

## სამეურნეო საზოგადოების კრება

(ქუთაისის სამეურნეო სკოლა)

სამშაბათს, პირველს მარტს, შესდგა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრება, რომელსაც უნდა დაედგინა, თუ რა გვარი სამეურნეო სკოლა ეჭირება ქუთაისს და რამდენად გამოსადეგარია ქუთაისის ფერმა სკოლისათვისაო. სანამ ამ კრების ანგარიშს მოგახსენებდეთ, საჭიროა მკითხველებს მოვაგონოთ შემდეგი: ჯერ კიდევ წარ-სულს წელს სამეურნეო საზოგადოებამ, ქუთაისის გუბერნატორის თხოვნით, გაჰგზავნა ქუთაისს თავისი წევრი, ბ-ნი ოსტაპოვიჩი, რომელმაც დაათვალიერა ქუთაისის ფერმა და დაასკვნა, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის ფრიად საჭიროა ბაღოსნობისა და მევენახეობის სკოლა და ამ გვარის სკოლისათვის ქუთაისის ფერმა გამოდგებაო. ერთს წინანდელს სხდომაზე განხილულ იქმნა ბ-ნ ოსტაპოვიჩის მოხსენება და საქმის საბოლოვოდ გადასაწყვეტად არჩეულ იქმნა კომისია (ბბ. გეევსკი, ა. ბაქრაძე, ი. წინამძღვრიშვილი, ოსტაპოვიჩი და ხოჯაევი), რომელსაც უნდა განეხილა ოსტაპოვიჩის მოხსენება, შეეკრიბნა საჭირო ცნობები ქუთაისის გუბერნიისა და ფერმის შესახებ.

კომისია ეს ორი თთვეა, რაც მოქმედობდა, დაეკითხა ზოგიერთებს, ვისაც კარგადა აქეს გაცნობილი ქუთაისის გუბერნიის ვითარება და თავისი აზრი მოახსენა უკანასკნელს კრებაზე სამეურნეო საზოგადოებას. ბ-ნმა ხოჯაევმა წაიკითხა კომისიის მოხსენება. კომისიას განუხილავს სამი საგანი: რა გვარი სასწავლებელი ეჭირება ქუთაისის გუბერნიას, სად უნდა გამართონ ეს სასწავლებელი და რა დანიშნულება უნდა მიეცეს ფერმას იმ შემთხვევაში, თუ რომ სკოლისათვის არ გამოდგა. კომისიას ის აზრი დაუდგენია, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის საჭიროა პირველ დაწყებითი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც უნდა ასწავლიდნენ ყმაწვილებს მეურნეობის ყველა განყოფილებას, რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში ყოველ გვარი მეურნეობა არსებობს და შეუძლებელია, ერთს რომელსამე განყოფილებას უპირატესობა მიეცეს. ქუთაისის გუბერნიაშიო, ამბობს კომისია, მოჰყავთ ღვინო, ხილი, მწვანილი, სიმინდი, პური და სხვანი, ერთის სიტყვით, მთელის გუბერნიის მეურნეობა მრავალ გვაროვანია და ამით სხვა-და-სხვა ნაწილები გუბერნიისა ერთმანერთისაგან თითქმის სრულიად არ განირჩევიან. ქუთაისის გუბერნიაში წვრილ-წვრილი ოჯახობა, მოსახლობა იციანო და მიწათ-მფლობელობა წვრილმანიაო; თითოეულს ოჯახობას, მოსახლობას ერთს პატარა ნაკვეთს მიწაზე მოჰყავს ღვინო, სიმინდი, ხილი, მწვანილი და სხვა, ასე რომ ქუთაისში თუ დაარსდა ღვინოსნობისა და ან ბაღოსნობის, ან მეურნეობის სხვა რომელისამე განყოფილების სკოლა, მაშინ ყმაწვილები ვერ გაუძლევებიან იმ მრავალ გვაროვანს ოჯახობას, რომელიც მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში არსებობს. მოზარდმა თაობამ უნდა ისწავლოს ყოველივე, რაიცა საჭიროა ადგილობრივს ოჯახობაში, ესე იგი ყველა განყოფილება მეურნეობისა, რათა თავისი მამულ-დედული არ დაავდოს, მიწათ-მოქმედებასა და ოჯახობაზე გული არ აუცრუვდეს და სადმე სხვაგან არ ეძიოს ცხოვრების სახსარი.

კომისიის აზრით, სკოლა გამართული უნდა იქმნას ქუთაისში უმთავრესად იმისათვის, რომ იქ ადვილად და იაფად შესაძლოა მასწავლებლების შოვნა; ქუთაისის ფერმა, როგორც სჩანს სხვა-და-სხვა ცნობებიდგან, სკოლისათვის გამოსადეგია.

ეს მოხსენება კომისიისა განიხილა უკანასკნელმა კრებამ. თითქმის ყველანი ეთანხმებოდნენ კომისიას, ხოლო ბ-ნმა ი. ხატისოვმა შენიშნა, რომ უფრო საჭირო და საუკეთესო იქნება ქუთაისის გუბერნიისათვის ღვინოსნობის სკოლა, რადგანაც იქ მევენახეობა ძალიან გავრცელებულია და იქიდგან დიდ-ძალი ღვინო გააქვთ სხვა-და-სხვა ადგილებშიო; ღვინოსნობა ბევრად უფრო დიდს შემოსავალს მისცემს ხალხსაო. ბ-ნმა ხატისოვმა აგრეთვე ისიც შენიშნა, რომ პირველ დაწყებითის სამეურნეო სკოლის გამართვა ქალაქში მოუხერხებელი და საქმისათვის მავნე იქნება, რადგანაც ქალაქის ცხოვრებას დაჩვეულნი სოფლის ყმაწვილები სოფელში არ დაბრუნდებიან და სოფლურს ცხოვრებას და ვითარებას გადაეჩვევიანო. ამ უკანასკნელს აზრს ბ-ნ ხატისოვისას სხვებიც დაეთანხმნენ.

კრებამ კენჭი უყარა კომისიის მოხსენებას და თითქმის ერთ-ხმად დაადგინა, რომ ქუთაისის გუბერნიას ეჭირება პირველ-დაწყებითი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც უნდა ასწავლიდნენ მეურნეობის ყველა განყოფილებას და რომელიც ამ მხრივ უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივს ვითარებას. რაც შეეხება იმას, თუ სად უნდა გამართონ სკოლა, ამის განხილვა გადადებულ იქმნა იმ დრომდე, ვიდრე კომისია მიიღებს ყველა საჭირო ცნობებს ფერმის შესახებ. სამეურნეო საზოგადოება უნდა დაეკითხოს ქუთაისის მთავრობას, — ფერმის გარდა სად და რამდენი მიწა შეიძლება იშოვნონ სკოლისათვის, თუ ეინიცობაა დადგენილ იქმნა, რომ სკოლა დაარსონ ქუთაისს გარეშე. ჯერ-ჯერობით კომისიამ უნდა შეადგინოს სკოლის პროგრამა; წესდების შედგენას-კი მაშინ შეუდგებიან, როცა დადგენილ იქნება, სად უნდა გაიმართოს სკოლა.

ა. ს—ი

## წვრილი ამბები

— წარსულის წლის მიწურულში ალლაგაბადში, ინდოეთშია, დიდი დღესასწაული გარდაუხდიათ უნივერსიტეტის დაარსების გამო. ეს უნივერსიტეტი მეოთხეა რიცხვით, რომელსაც ინდოეთში, ინგლისის კოლონიებში, აარსებენ. ინდოელი გაზეთები დიდის სიამოვნებით მიეგებებიან ამ ამბავს, როგორც «ახალს წყაროს ქვეყნის ცხოვრებისას». ის მოლოდინი, რასაც მოველოდდით ბენგალისა, მადრასისა და ბომბეის უნივერსიტეტთა დაარსებით, სრულიად გაგვიმართლდაო, — ამბობენ ინდოელი გაზეთები. ამიტომაც ეჭვი არა გვაქვს, რომ

---

ტასო კვლავ ფიქრებმა წაიღო და დიდხანს ატარა აქეთ-იქით. გახურებულმა გონებამ, თითქო აღელვებული ზღვაო, ნაფოტივით ატრიალა და აქანავა იმისი სუსტი ტანი... აი ვითომ ტასოს ბედმაც გაუღიმა... აგერ საქორწილო კაბაც აცვია... ღმერთო ჩემო, ექიმიც გვერდზედ უდგას და შესცინის, შესტრფის... აგერ ეკკლესიაშიაც წავიდნენ... ხალხი დიდ-ძალი შეკრებულა... სანთლებს ბდღვრიალი გააქვს... მღვდელი ბეჭედს უცვლის კიდეცა... მაგრამ ოჰ, ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამებავ! ეს რაღა სჩანს შორს..

... საფლავიდამ ვიღაცა ამოდის... საშინელი ფერი სძევს და სასტიკად, მრისხანედ უცქერის... ტასოს... ვინ არის?.. ქეთო!.. ქეთო!.. ტასომ კინაღამ დაიყვირა, მაგრამ მალე გონზედ მოვიდა და მართლაც, თვალ-წინ ქეთო დაინახა, გამხდარი, მილონებული, თვალებ მოკრიალებული, გაცვივნულის ლოყებითა, რომელზედაც ყაყაჩოსავით გაჰქონდა ხაჩხაჩი ვარდის ფერს სიწითლეს...

— «ქალო, რამდენი ხანია გელი, რატომ არ მოხვედი?

ტასომ აღარ დააცალა ლაპარაკი, მივარდა ქეთოს, გადაეხვია და უთხრა:

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი... ექიმი ეს არის ეხლა აქ იყო.

თუმცა ქეთო გახარებული იყო, მაგრამ ეტყობოდა, რაღაც დარდი აწუხებდა.

— ტასო, უთხრა ბოლოს ქეთომ, — მე ავადა ვარ, ჩემი მორჩენა ჯერ გვიან არის და ან ვინ იცის, მოვრჩები კიდევ თუ არა? ასე ავადმყოფი-კი ჯვარს ვერ დავიწერ... არც [illegible] სიტყვა — მხოლოდ დასამშვიდებლად მომცა... მაგრამ თუ ჯვარს არ დაიწერს, პატიოსანი კაცია, და სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, სხვას არ ითხოვს, მანამ მარტო ჩემია... და სხვაზე არ გამცვლის, ისე უყვარვარ. ტასო დარცხვენილი უგდებდა ყურს თავის მეგობრის ლაპარაკს; წამ-და-უწუმ წითლდებოდა და ყვითლდებოდა, ასე ეგონა, რომ ქეთო ჩემს გულში იხედებაო.

— ტასო! — დაიწყო კვლავ ქეთომ და თავისი დაღონებული თვალები გაუშტერა ტასოს: — მითხარი, მართალია თუ არა... მე როგორღაც შევატყე... შენ იმას მოსწონხარ... რომ დაგინახავს ერთბაშად, აღელდება ხოლმე... რომ გელაპარაკება, თვალს არ გაშორებს... იქნება უყვარხარ...

ქეთო გაწითლდა, სირცხვილმა დასწვა, დაადნო, გულმა ისე დაუწყო ტკივილი, რომ ის იყო წამოდუღებას აპირებდა, მაგრამ მალე თავი შეიკავა ისევ.

— გთხოვ, როგორც მეგობარს... განაგრძო კვლავ ქეთომ. — გეხვეწები როგორც დას, შენ იმას ნუ შეირთავ... ნუ შეირთავ ნურც ჩემის სიცოცხლის დროს და ნურც შემდეგში... მე არ მინდა, რომ ჩემი ქმარი ჩემის დის ქმარი გახდეს...

— ქეთო, რას ამბობ მაგას, ნუ თუ ეგ უნდა მოჰყვეს ჩვენს სიყვარულს, ჩვენს მეგობრობას? — მიუგო გრძნობით ტასომ, გულმა ძგერა დაუწყო, წამწამები აუთამაშდა და თვალები გაევსო ცრემლებით.

— ვიცი, ვიცი, შენ ჩემისთანად არავინ გიყვარს... არც მე მიყვარს ვინმე შენზედ მეტად, მაგრამ... მომიტევე... გული გატკინე... მიჯავრდები განა? ნუ, ტასოჯან, ნუ! შენ ხომ ჩემი და ხარ, ჩემი საყვარელი და; შენ კარგი ხარ, ანგელოზი ხარ. დაიფიცებ ჩვენს მეგობრობას, რომ ეხლა და შემდეგში... დაიფიცებ, რომ შენს გულში არაფერია... დაიფიცებ ჩემს უბედურს სულს... დაიფიცებ და დამამშვიდებ...

ქეთო ამ მღელვარებამ მეტად დაასუსტა. სული ყელში მოებჯინა, დიდის გაჭირებით ჰსუნთქავდა, თითქო ჰაერი აღარა ჰყოფნისო, და ძლივს-ღა იდგა ფეხზედ.

— ქეთო, გეფიცები! — შეჰყვირა ტასომ, ქეთოს სანახაობით გულ-დათუთქულმა და იმის სიბრალულით გულ-მოკლულმა, — გეფიცები, რომ შენს სურვილს ავასრულებ, თუნდა სიკვდილიც მომელოდდეს მაგისთვის!

—

გაიარა ერთმა თთვემ. ქეთოს იახლთან დიდ-ძალი ხალხი შეგროვილიყო; სახლის წინ რამდენიმე ეტლი იდგა. აი ხალხში რაღაც მოძრაობა შეიქმნა, ყველამ ქუდები მოიხადა. ექვსს კაცს კუბო გამოაქვთ. კუბოში საწყალი ქეთო ასვენია. ერთ-ერთს ეტლზედ მოათავსეს კიდეც ეს კუბო... სხვა ეტლებიც წამსვლელებით აივსო... ცხედარი კახეთისაკენ წაასვენეს.

ექიმი ისევ წყლებზედ დარჩა...

ტასო უკანასკნელს ხანებში დიდს ჯაფაში იყო და ავადმყოფობდა. ბევრი ურჩიეს დარჩენა, მაგრამ ავადმყოფ მეგობრის კუბოს არ მოშორდა.

გამოთხოვების დროს ტასომ გადასცა ექიმს ქეთოს მედალიონი საბრალო ქეთოს სურათითვე.

— ნუთუ აღარა ვნახავთ ერთმანერთს? დაეკითხა ექიმი ტასოს.

— არა მგონია... ან რისთვის?.. მიუგო ტასომ.

—

... გაიარა სამმა წელიწადმა. ამ სამს წელიწადში ტასომ მარტო ერთხელა ჰნახა ექიმი კახეთში. ექიმმა გამოუცხადა ტასოს, რომ მიყვარხარ და თუ შენი სურვილიც იქნება, ჯვარი დავიწეროთო, მაგრამ ტასომ უარი უთხრა...

ქეთოს სიკვდილის შემდეგ ტასო საშინლად გამოიცვალა. სად-ღა იყო წინანდელი სიხალისე და ჯანი?.. ეხლანდელი ტასო ის ცქრიალა, მხიარული და მკვირცხლი აღარ იყო. ცხადად ეტყობოდა, რომ რაღაც ღრმა დარდს შეეპყრო, გული დანაღვლიანებოდა, ჩათხრობოდა. ტასო ეხლა დაფიქრებულსა და დადინჯებულს ადამიანს ჰგავნდა. ვნებათა ღელვანი დაწყნარებულიყვნენ და ყმაწვილის ქალის სახეზე გამუდმებულის, ჩუმისა და მშვიდობიანის სევდის ბეჭედი დაეტოვებინათ. ყველანი ურჩევდნენ ტასოს, თავს უწამლეო, მაგრამ წამალს არც-კი იკარებდა. ბოლოს ისე დაუძლურდა, რომ ჰაერის გამოცვლა აუცილებელი შეიქმნა; ექიმებმა დაუნიშნეს ის ადგილი, სადაც ამ სამის წლის წინად ქეთო გარდაიცვალა.

წყლებზე დაუძლურებული ტასო რგოლებიან სავარძელში უნდა ჩაესვენებინათ ხოლმე და ისე ესეირნებინათ. ერთხელ ტასო წალკოტში ჰყავდათ, წინ ორი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მიდიოდა. იმათ უკან ძიძას მშვენიერი ბავშვი მიჰყავდა... ტასომ ნეტარებით შეჰხედა ამ ბედნიერს ოჯახს... ამ დროს ბავშვის მამა მიბრუნდა შვილისაკენ... ტასომ დაინახა თუ არა იმისი სახე, შეკრთა, ოდნავ შეჰკივლა და გული წაუვიდა. ექიმმა თავის ცოლით გაუარა გვერდით და შეიბრალა ვიღაც ახალგაზრდა ძალზედ ჭლექ-მორეული ლამაზი ქალი...

—

ტასოს საწოლს გარშემო ექიმები არტყია... მორჩენის იმედი აღარავისა აქვს... აი ყველანი გავიდნენ კიდეც; დარჩნენ მარტო ჩვენი ნაცნობი ექიმი და ტასოს შინაურები. ავადმყოფმა ხელის მოძრაობით ანიშნა, რომ ექიმის მეტი ყველანი გასულიყვნენ. ექიმი საწოლთან მივიდა.

— მოდით ჩემთან, მეგობარო... ძლივ-ძლივობისას უთხრა ტასომ, თითქო ყელში რაღაცამ წაუჭირაო: მე ვნახე თქვენი ცოლი... ბედნიერად იყავით... საწყალს ქეთოს აუსრულდა სურვილი... ნეტავი მეც ამსრულებოდა...

— რა სურვილსა ბრძანებთ? — დაეკითხვა ექიმი.

— აი... ეხლა ხომ ვკვდები და... ეს ჩემგან გქონდეთ სახსოვრად... უთხრა ქალმა ექიმს და მიაწოდა პატარა ნივთი. — გიშრის გულია... გაბზარული... მაგრამ არა უჭირს-რა... ჩემი გულიც აგრე არის... მე თქვენ მიყვარდით... პირველადვე რომ გნახეთ, მაშინვე შემიყვარდით...

— როგორ? ნუ თუ შესაძლებელია? თქვენ ამბობთ მაგას და კახეთიდგან-კი ისე გამომისტუმრეთ? — გაკვირვებით დაეკითხა ექიმი.

— ფიცი მივეცი, ფიცი!.. ძლივს წაილუღლუღა ტასომ. — ფიცი მივეცი ჩემს ქეთოს... ჩემს კარგს ქეთოს... ეხლა აღარ შემრცხვება იმისი, როცა ერთმანერთს შევხვდებით... ფიცი... ფიცი მივეცი...

—

ტასოს სახლთან დიდ-ძალი ხალხი შეგროვილიყო; სახლის წინ რამდენიმე ეტლი იდგა. აი ხალხში რაღაც მოძრაობა ასტყდა, ყველამ ქუდები მოიხადა. ექვსს კაცს კუბო გამოაქვთ. კუბოში საწყალი ტასო ასვენია. ერთ-ერთს ეტლზედ მოათავსეს კიდეც ეს კუბო... სხვა ეტლებიც წამსვლელებით აივსნენ... ცხედარი კახეთისაკენ წაასვენეს.

ექიმი ისევ წყლებზედ დარჩა...

ოც-და-სამი

ალდაგვაბადშიაც ახალის უნივერსიტეტის დაარსება უფრო ხელს მოუმართავს, უფრო წინ წასწევს განათლებისა და განვითარების საქმეს ინდოეთშიო.

— იტალიის მთავრობას ახალი კანონი გამოუცია სიმთვრალის შესახებ. ამ ახალის კანონის ძალით, ყველა ვინც-კი შესაკრებელს ადგილს სადმე გამოჩნდება ნასვამი და დალეული, 12 მანათი ჯარიმა უნდა გარდაიხადოს. ხოლო თუ დამტკიცდა, რომ ეს კაცი პირველად არ სჩადის ასეთს საქციელს, ან სიმთვრალე ზნედა აქვს გარდაქცეული, მაშინ ამისთანა კაცს ციხეში დაპატიმრება უნდა გარდაუწყვიტონ 6-დგან 24 დღემდე. თუ სიმთვრალეში, დაჭერილი თხუთმეტ წლისაზე პატარაა, მაშინ იმის მშობლებსა და მზრუნველებს სასტიკი საყვედური უნდა მიეცეთ და თუ მაინც-და-მაინც რიგიანად არ ადევნებენ თვალ-ყურსა, მაშინ 10 დღით იქმნებიან დაპატიმრებულნი. თუ სასმელებით მოვაჭრე სასმელი მცირე-წლოვანს მიჰყიდა, მაშინ სასმელებით ვაჭრობა აეკრძალება.

— ამას წინად ლონდონში კრება ჰქონიათ ქალებს განთქმულისა და ცნობილის მშვიდობიანობის მომხრე გენრი რიჩარდის თავ-მჯდომარეობით. ეს საზოგადოება უმეტესად შედგენილია ლონდონის სკოლების მასწავლებელ-ქალთა მიერ. კრებას აზრად ისა ჰქონია, რომ საყმაწვილო ისტორიულს თხზულებებში ყაზარმობისა და ომის ქება და დიდება არ უნდა იბეჭდებოდეს ხოლმე. ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დიდის თანაგრძნობით იხსენიებს განზრახვას ქალების საზოგადოებისას, რომელთაც მოუწადინებიათ, რომ საზოგადოებას შეაძულონ უსამართლო და უსარგებლო ყაზარმობა და ომიანობა. კრებაზედ განსაკუთრებით იმაზე ულაპარაკნიათ, რომ ისტორიულ თხზულებათა მწერალნი მეტად დიდს ადგილს უთმობენ თავიანთ ნაწერებში ომებისა და ბრძოლათა აღწერას, სამხედრო ხელ-შეკრულობათა, სადიპლომატიო გაიძვერაობას, ჯარებისა და ფლოტის გადაყვან-გადმოყვანას და სხვ. ამ მწერლებს ის-კი ავიწყდებათ, რომ სამშვიდობოდ დაწერილს ხელ-შეკრულობას ისეთივე მაღალი და პატივსაცემელი მიზეზი აქვს; რომ ამ გვარი მოვლენანიც დიდის გატაცებით და თანაგრძნობით უნდა ასწერონ ისტორიის ფურცლებზედ.

— კარლსრუეს თეატრში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. ამ თეატრში არდგენდნენ თურმე ცნობილს ოპერეტტს «ჩინეთში მოგზაურობა». ერთს არტისტს, ვიღაც პრაშას, თავის სალაპარაკოში ჩაუმატებია ერთი ხანა ლექსისა, რომელიც ბისმარკის სიტყვებითა ბოლოვდება თურმე: «ჩვენ, გერმანელებს, მხოლოდ და მხოლოდ ერთის ღმერთისა გვეშინიანო». ამ სიტყვების წარმოთქმაზე მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოსულა, დაუწყიათ ძახილი, ბრავო, «hoch»-ი, მთელი თეატრი იძროდა თურმე ტაშის ცემისაგან. თეატრის გამგეს პრაშასათვის ჯარიმა გადაუხდევინებია და დაუჯარიმებია აგრეთვე რეჟისორიც, რომელსაც არტისტისათვის ნება მიუცია ზემოხსენებულ სიტყვების ჩამატებისა.

<>

## გასართობი

საგარეო და საშინაო პოლიტიკა

— ძმაო ლუკა, ჩემო აღდგომის კვლეპტარო, შენ დღეს როგორს პოლიტიკას ადგეხარ, საშინაოსა თუ საგარეოს?

— როგორს პოლიტიკას ვადგევარ? მე?! საშინაო პოლიტიკას ვადგევარ, ე. ი. ყველა სასმელს გიახლებით, მოუკუპრავში გადავუშუშხავ ხოლმე, შიგნით ჩავგზავნი რაღა; ხოლო როცა მუხლები დამისუსტდება, თვალები ამიჭრელდება, მაშინ-კი გვერდზედ ნუ გამივლი—ისეთს საგარეო პოლიტიკას გამოგისახავ ფათრეთზე, რომ კამბეჩები დიპლომატები გეგონოს.

<>

# დეპეშა

1 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს ორს საათზე და ნახევარზე პეტერბურგიდგან წავიდნენ ბერლინში საგანგებო მატარებლით: მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი: ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი და მიხეილ ნიკოლოზის ძე ამალითურთ. ამალაში არიან გენერალ-ადიუტანტი შახოვსკოი, მის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი ბარონი ფრედერიქსი და ფლიგელ-ადიუტანტები თავ. ობოლენსკი და ბენკენდორფი.

**ვენა.** «ოფიციალურს გაზეთში» დაბეჭდილია თავ. ბისმარკის წერილი გრაფ კალნოკის მიმართ. ამ წერილში ბისმარკი მადლობას უცხადებს ავსტრიას იმ თანაგრძნობისა გამო, რომელიც ავსტრიამ გამოაცხადა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის გარდაცვალებაზედ. ბისმარკი სწერს, რომ ეს გარემოება საბუთია ორთავე სახელმწიფოთა შეურყეველის კავშირისა და ურთიერთობისა. კალნოკის პასუხიც იმავე კილოთი არის დაწერილი.

**ბუქარესტი.** ახალი სამინისტრო უკვე შეუდგენიათ: ბრატიანო დანიშნულია მინისტრ-პრეზიდენტად და სამხედრო მინისტრად, აფერსკიდე—გარეშე საქმეთა მინისტრად.

2 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, პარასკევს პეტრე-პავლეს ლიუტერანთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება მიცვალებულის წირვა იმპერატორის ვილჰელმის გარდაცვალების გამო. წირვაზე დაესწრებიან წევრნი სახელმწიფო საბჭოსი, მინისტრები, სენატორები, უმაღლესნი მოხელენი სასახლისა და გენერალიტეტი. ყველანი უნდა იყვნენ მძიმე შავებში და ვისაც აქვს, პრუსიის ლენტებით უნდა შეიმოსნენ. იმავე დღეს ვილჰელმის დასაფლავების გამო ბირჟა და საიმპერატორო თეატრები დაკეტილი იქმნება.

გამოცხადებულია წესდება ცხენთა აღრიცხვისა სამხედრო საჭიროებისათვის.

გაზეთ „Русскій Курьеръ“-ს ხელ-ახლავ მიეცა ნება, ჰყიდოს ცალკე ნუმრები გაზეთისა.

**ბერლინი.** იმპერატორის ფრიდრიხის მანიფესტმა ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე,—განსაკუთრებით დასასრულმა მანიფესტისამ, სადაც იმპერატორი ამბობს, რომ ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარ, რათა ძლევა-მოსილი ომიც-კი ავიცილო თავიდგან, და იმას ვეცდებიო, რომ მშვიდის საშუალებით დავამკვიდრო სახელმწიფოთა კეთილდღეობაო.

**ლონდონი.** ქვედა პალატაში გამოცხადებულია, რომ პიშინისა და სიბის ოლქები საბოლოვოდ შეუერთდნენ ინდოეთის იმპერიასაო.

**ლონდონი.** ქვედა პალატაში თათბირი ჰქონდათ, რომ ინდოეთის ფინანსებს ძალიან სჩაგრავს ის პოლიტიკა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთს საზღვარზე. ლორდი ჩერჩილი გამოესარჩლა რა ამ პოლიტიკას, სთქვა: მართალია, ინდოეთის ფინანსები ცუდს მდგომარეობაშია, მაგრამ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ინდოეთის ფინანსები დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ინგლისი მისდევს ევროპაშიო. „ყირიმის ომის შემდეგაო, სთქვა ორატორმა, ინგლისს უნდა გადაეწყვიტა: ვიხელმძღვანელოთ თუ არა იმ პოლიტიკით, რომლის გამო ინდოეთს ჩრდილოეთ-დასავლეთს საზღვარზე დიდ-ძალი ჯარი უნდა ვიყოლიოთო; თუ ეს პოლიტიკა შესაწყნარებელია, მაშინ უნდა გადავწყვიტოთ: დავეხმაროთ, თუ არა ინდოეთის ფინანსებსაო?“

**პარიჟი.** პრეზიდენტ კარნოს წარმომადგენლად იმპერატორის ვილჰელმის დასაფლავების დროს იქნება გენერალი ბილოო.

**კელნი.** «კელნის გაზეთში» სწერენ 1—13 მარტს: იმპერატორმა ფრიდრიხმა ჩვეულებრივზე უფრო ცუდად გაატარა წარსული ღამე, ასე რომ შიშიც დიდი იყო. ამბობენ, რომ შესაძლოა კიდევ დასჭირდეს ოპერაციაო. თბილი დარები რომ დადგება, იმპერატორს განზრახვა აქვს წავიდეს ვისბადენში.

პეტერბურგის ბირჟა 1 მარტი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 73 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | $195^{1}/_{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — ,, | — ,, | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — ,, | — ,, | $265^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | $245^{1}/_{4}$ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

<>

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—ჳპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

4 დღე პარასკევი. ღირსისა გერასიმესი და პავლესი. კათოლ. ნიმფასი და ლუციასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 6—9. მთვარე 5 დღისაა.

5 დღე შაბათი. ღირს. კანონისა და მარკოზისა. კათოლ. ფრედერიკისა და თეოფილესი. სომეხ. კრება 150 მამათა კონსტანტინოპოლში. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 6—10. მთვარე 6 დღისაა.

6 დღე კვირა. წმ. 41 წამებულთა ამორიელთა. კათოლ. ვიქტორისა. სომეხ. ალების-ღამე დიდ-მარხვისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში გაიმართა პირველი სამეურნეო გამოფენა, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 6—11. მთვარე 7 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. პირველი დღე დიდ-მარხვისა. ვასილისა, ეფრემისა და ევგენიასი კათოლ. თომასი და ფელიციტასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 6—12. მთვარე 8 დღისაა.

<>

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

**ნამდვილი საუნჯეა**

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მასთან გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნს.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50-5)

---

**ვერძო ექიმი**

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, არმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისსა.

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე, დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 საათამდე. იკითხონ კუკიაში, მიხეილის ქუჩაზე, ბექხანოვის სახლი, № 103. (4—2)

---

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

**შვედურის საირკეებისა,**

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

# ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº. ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—32)

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი განვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . . . | 3 | 50 |

---

**კავკას. სამეურნეო საზოგადოების**

## საბაღოსნო სკოლაში

(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—6)

---

ქ. გორში, სობოროს ქუჩაზედ,

**გახსნილი**

## ქართულის წიგნის მაღაზია.

ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამოიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიითა.

(5—5) კონსტანტინე ცხვედაძე